პიროვნების და კლინიკური ფსიქოლოგია

1. **მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი/კვალიფიკაცია**
   ფსიქოლოგიის დოქტორი – პიროვნების და კლინიკური ფსიქოლოგია

2. **პროგრამის ხელმძღვანელი**
   თსუ სრული პროფესორი მარინე ჩიტაშვილი

3. **პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება**

პროგრამის მიზნები:

პროგრამის მიზანია მეცნიერული ცოდნის შექმნა და გამოყენება ადამიანური პრობლემების (ტრავმა) შეფასების, გაგებისა და გაუმჯობესების შესახებ. ისე როგორც პიროვნების და კლინიკური ფსიქოლოგიის პროგრამების უმეტესობა ეს პროგრამაც ეფუძნება მეცნიერი-პრაქტიკოსის მოდელს დამიზნად ისახავს მოამზადოს მეცნიერი და პროფესიონალი პრაქტიკოსი, რომელსაც შეეძლება გააუმჯობესოს ცოდნა და გამოყენებითი საქმიანობა (პრაქტიკა) პროფესიული საქმინაობის სხვადასხვა სფეროში, როგორიცაა უნივერსიტეტი, განათლებისა და ჯანდაცვის სისტემა და საზოგადოების სოციალური ცხოვრება მთლიანობაში.

სწავლის შედეგი:

პროგრამა ორიენტირებულია ორ ძირითად მიზანზე: მოამზადოს პროფესიონალები, რომელთაც შეუძლიათ შექმნან ახალ ცოდნა დარგში და მომაზადოს ისინი, როგორც ლიდერები (სოციალური აქტორები), რომელტაც შეუძლიათ კრიტიკულ სიტუაციებში თავის თავზე აიღონ მენეჯერების ფუნქცია, რათა შექმნან და განავითარონ ახალი ინსტიტუტები ფსიქიკური ჯანმრთელობისა და მოქალაქეების ფსიქოლოგიური კარგად ყოფნისათვის (well-being).

პროგრამა პიროვნებისა და კლინიკურ ფსიქოლოგიაში ეფუძნება მეცნიერი-პროფესიონალის მოდელს და მიზნად ისახავს ახალი ცოდნის შექმნას ფსიქოლოგიური ტრავმის, სტრესის და მომიჯნავე სფეროებში. სპეციალისტებს შეეძლებათ იმუშაონ სხვადასხვა ინსტიტუტებში, მოძებნონ რაციონალური გადაწყვეტილებები კრიზისისა და მასთან დაკავშირებული შედეგების დასაძლევად.

4. დასაქმების სფეროები

პიროვნებისა და კლინიკურ ფსიქოლოგიაში დოქტორის ხარისხის მქონეს შესაძლებლობა ექნება იმუშაოს სასწავლო და კვლევით დაწესებულებებში სპეციალობის მიხედვით. როგორც მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტს, მას შეეძლება წარმართოს ფსიქოლოგიური მუშაობის პრაქტიკა, აგრეთვე, აწარმოოს კერძო ლიცენზირებული პრაქტიკაც.

5. პროგრამაზე მირების წინაპირობები

პიროვნებისა და კლინიკური ფსიქოლოგიის სადოქტორო პროგრამაზე სწავლების მსურველთ მოეთხოვებათ მაგისტრის ხარისხის ფლობა ფსიქოლოგიაში, ასევე ინგლისური ენის ცოდნა B2 დონეზე.